

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

სანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის 4 დეკემბრიდან დღემდე პერიოდს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შექმნილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 23 -ე მუხლის შესაბამისად. კომისია მუშაობას წარმართავს ამ დებულების და საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

კომისიაში გაწევრიანებულია საკრებულოს 13 დეპუტატი. კომისიის სხდომები ძირითადად მიმდინარეობს დეპუტატების აქტიური ჩართულობით. კომისიის მუშაობაში აქტიურ საქმიანობას ეწევიან როგორც უმრავლესობის ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 10 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა 18 საკითხი. მათ შორის 17 შემთხვევაში კომისიის მიერ მხარდაჭერილი იქნა წარმოდგენილი საკითხები.

სხდომებზე სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ მერიის თანამდებობის პირები, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტი ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, ასევე მოხდა 2022 წლის რეგიონალური განვითარების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტების და იდეების მოწონება. კომისიის სხდომაზე განხილული იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წარმოდგენილი პროექტები. მინდა აღვნიშნო რომ აღნიშნული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კომისია თავის უფლებამოსილების ფარგლებში მონიტორინგს გაუწევს აღნიშნულ პროექტების მიდინარეობას მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად.

კომისიის სხდომაზე განხილული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სხვადასხვა ფორმით გადაცემის საკითხი. კერძოდ: დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქ. # 8- ში მდებარე შენობა ნაგებობის ფართიდან 38,44 კვმ ფართი ორი წლის ვადით გადაეცა ააიპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს „თაირისს“ და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს ამბულატორიის მშენებლობისათვის.

კომისიამ ასევე მოისმინა მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ. სხდომაზე გაკეთდა ანალიზი წინა წლებში აღნიშნული სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობისა და საანგარიშო პერიოდში არსებულ მდგომარეობას შორის რის საფუძველზეც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი ანგარიშები შეეფასებია დადებითად.

კომისია აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად. ადგილზე ვეცნობოდით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, ვხვდებოდით მოსახლეობას და უშუალოდ მათგან ვისმენდით იმ პრობლემებსა და სიკეთეებზე რაც მათ საცხოვრებელ არეალებში ხდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით. მინდა აღვნიშნო რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსახლეობა კმაყოფილი იყო მათ სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით. საანგარიშო პერიოდში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ვიმყოფებოდით დაბაში სოლომონ მეფის ქ. # 56- ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემის მოგვარების მიზნით რომელიც შეეხებოდა კორპუსის გადახურვის საკითხს. მინდა გითხრათ რომ ამ ეტაპზე

მიმდინარეობს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აგრეთვე ვმონაწილეობდით მერიის და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის გადახურვის და საკონფერენციო დარბაზის პროექტირების პროცესში. ასევე ვიმყოფებოდით სოფელ იგორეთში, წყლის სათავე ნაგებობაზე არსებული პრობლემის შესწავლის მიზნით და მინდა გითხრათ რომ პრობლემა გადაიჭრა.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს როგორც მერიასთან ასევე საკრებულოს სხვა კომისიებთან. რამდენჯერმე გაიმართა კომისიის ერთობლივი სხდომები. მონაწილეობას ვღებულობდით სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

კომისია ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ისე როგორც საკრებულოს თავმჯდომარის დავალებებს და გადაწყვეტილებებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ კვირიკაშვილი

.